



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

12 აგვ 2024 წ.



KA000047305006024

№ 2024/3654

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით დევიძეს

რეკომენდაცია

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების
კანონიერების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების
შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონ დავით,

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის
საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით შეინსავლა სსიპ
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 8 აპრილის № P24000027/0-1
გადაწყვეტილება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“-ს
რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ.

წინამდებარე საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, სახალხო
დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით
გარანტირებული გაერთიანების თავისუფლება და სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება.

1. ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 7 დეკემბერის №P21000039/0-1 გადაწყვეტილებით,
„კონსერვატიული მოძრაობა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 415030530) დარეგისტრირდა მოქალაქეთა
პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში;

მოგვიანებით, 2022 წლის 11 აპრილს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს № P22000004/0-1
გადაწყვეტილების საფუძველზე, პარტიის სახელწოდება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“;

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით, 2024 წლის 3 აპრილს, უწყებას ანტიკორუფციულმა
ბიურომ მიმართა № 00005391 კორესპონდენციით და გადაუგზავნა მოქალაქე ს.კ.-ს 2024 წლის 2 აპრილის
№ 5345 მხილების განცხადება, ვინაიდან, ბიუროს შითითებით, „განცხადებაში მოყვანილი მნიშვნელოვანი

გარემოებების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება [იყო];[1]

აღნიშნული წერილის საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაინიშნა წარმომადგენელი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“-ს რეგისტრაციის შესახებ 2021 წლის 7 დეკემბერის №P2100039/0-1 გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის მიზნით;

მხილების განცხადების მიღებიდან სულ რაღაც 5 დღეში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 8 აპრილის № P24000027/0-1 გადაწყვეტილებით, პარტიის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნულს საფუძველად დაედო 2021 წლის 6 დეკემბერს, პარტიის პირველადი სარეგისტრაციო წარმომადგენლის ფარგლებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი წესდება, რომელსაც ხელს აწერდა კონსტანტინე მორგოშია, მაშინ, როდესაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ის ყრილობას უნდა დაემტკიცებინა;

მოცემული საქმის შესწავლის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა, 2024 წლის 30 აპრილის № 2024/827 წერილით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსგან, მათ შორის, გამოითხოვა ინფორმაცია, უზრუნველყოფილი იყო თუ არა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“-ს მონაწილეობა პარტიის რეგისტრაციის გაუქმების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. უწყების 2024 წლის 8 მაისის №100131 საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, „საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული პირის ჩართულობა ობიექტურად ვერ შეცვლიდა წარსულში შედგენილ და უკვე მარეგისტრირებულ ორგანოში წარდგენილ დოკუმენტაციას, ვერ გამოასწორებდა დოკუმენტაციაში არსებულ ხარვეზებს და გავლენას ვერ მოახდენდა წარმოების შედეგებზე და მისაღები გადაწყვეტილების შინაარსზე“. ამდენად, განსახილველი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ არ განხორციელებულა პარტიის ინფორმირება და შესაბამისად, მას არ მისცემია შესაძლებლობა, გასცნობოდა წარმოების მასალებს, წარედგინა მტკიცებულებები ან დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები.

2. სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად.[2] მას დიდი დატვირთვა ენიჭება როგორც სხვა უფლებებით სარგებლობის, ასევე დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირების თვალსაზრისით.[3] აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ გაერთიანებების ხშირად მნიშვნელოვან და პოზიტიურ ფუნქციას ასრულებენ საჯარო ინტერესში შემავალი ამოცანების შესრულებაში.[4] ამ კონტექსტში, განსაკუთრებით საგულისხმოა პოლიტიკური პარტიების, როგორც გაერთიანებათა ერთ-ერთი ფორმის, განუყოფელი როლი დემოკრატიულ პროცესებში და პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფაში.[5]

მითითებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასამართლოს დამკვირვებელი პრაქტიკით, „აუცილებლობის“ ცნება პირდაპირ უკავშირდება „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობას, რაც გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვის ნებისმიერი ღონისძიება უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და მის გასამართლებლად გამოყენებული არგუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს.[7] ასეთი გარემოებების შემთხვევისას, ყურადღება ექცევა, თუ რამდენად ეფუძნება კონკრეტული გადაწყვეტილება შესაბამისი ფაქტების სათანადო შეფასებას.[8]

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიების როლის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გაერთიანების უფლებაში ჩარევის კანონიერების შეფასებისას, პარტიებს განასხვავებს სხვაგვარი, არაპოლიტიკური გაერთიანებებისგან და მსგავს საქმეებს მომეტებული სიფრთხილით განიხილავს.[9] ამგვარი მიდგომის ფარგლებში, შემზღუდავი ღონისძიებების გასამართლებლად, სასამართლო ხელისუფლებას შედარებით უფრო მყარი არგუმენტაციის წარმოდგენას სთხოვს.[10] რადიკალური ღონისძიებები, როგორცაა პოლიტიკური პარტიის გაუქმება ან უარი რეგისტრაციაზე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება იქნას მიღებული, როდესაც რეალური საფრთხე ექმნება ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებს.[11]

განსახილველ საქმეში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთ ყველაზე ხისტ საშუალებას მიმართა და ბათილად ცნო „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“-ს რეგისტრაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში იმ არგუმენტით და მხოლოდ იმის გამო, რომ პარტიას სათანადო წესით მიღებული სარეგისტრაციო დოკუმენტი - წესდება არ ჰქონდა წარდგენილი მარეგისტრირებულ ორგანოში. ამ ნაწილში, ნიშანდობლივია, რომ იმავე მიზეზით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს პოლიტიკური გაერთიანებისთვის რეგისტრაციაზე უარი არ უთქვამს 2021 წელს. ამ გარემოებისა და იმ ფორმის გათვალისწინებით, როგორც იქნა მიღებული პარტიის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება 2024 წლის 8 აპრილს, სახალხო დამცველის შეფასებით, გაერთიანების უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა განხორციელდა.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული დასაბუთება ვერ პასუხობდა პოლიტიკური პარტიების გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვისთვის საჭირო მაღალ უფლებრივ სტანდარტს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახალხო დამცველის შეფასებით, ასევე დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება.

კერძოდ, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საქმე განიხილოს სამართლიანად და გონივრულ ვადაში, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით“.[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ადგენს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, კონსტიტუციური უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესულურ გარანტიას.[13] ამგვარად, ხსენებული კონსტიტუციური ჩანაწერი ახდენს კარგი მმართველობის პრინციპის ძირითად უფლებად რეგლამენტირებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საქმიანობის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და წარმოადგენს როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, ასევე მათ მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდის წინაპირობას. ცნება მიემართება ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას და ფარავს ადამიანის უფლებათა პატივისცემას, სამართლის უზენაესობას, არსებით მონაწილეობას, პოლიტიკურ პლურალიზმს, გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას.[14]

კარგი მმართველობა უკვე კარგად არის ინტეგრირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, რომელიც აღნიშნულ პრინციპზე მითითებით, საჯარო დანესტრუქტურებისგან მოითხოვს დროულ, განსაკუთრებით თანმიმდევრულ და სათანადო წესით მოქმედებას, როდესაც სასწორზეა საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საკითხი.[15] ასეთ საკითხს განეკუთვნება ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ ქმედება, რაც ზემოქმედებს ფუნდამენტურ უფლებებზე.[16] საგულისხმოა, რომ კარგ მმართველობასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი სტანდარტები ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც.[17]

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების კონსტიტუციური უფლების შინაარსით განსაზღვრული პროცედურული გარანტიები დეტალურად განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას. კოდექსი, მათ შორის, ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ბათილად ცნობის წესს, განსაზღვრავს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის წინაპირობებს და განერს წარმოებაში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების დანეების შესახებ დაინტერესებული მხარისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და წარმოებაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა.[18] მხარის მონაწილეობა მოიცავს წარმოების მასალების გაცნობის,[19] მტკიცებულებათა წარდგენისა და საქმის გარემოებათა გამოკვლევის შესახებ შუამდგომლობების დაყენების შესაძლებლობებს.[20] აღნიშნული საკანონმდებლო სტანდარტებისა და პარტიის რეგისტრაციის გაუქმების რეალური შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, 2021 წლის 7 დეკემბერის № P21000039/0-1 გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ ჩართო „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“. უწყებამ სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა, რომ „საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული პირის ჩართულობა ობიექტურად ვერ შეცვლიდა წარსულში შედგენილ და უკვე მარეგისტრირებულ ორგანოში წარდგენილ დოკუმენტაციას, ვერ გამოასწორებდა დოკუმენტაციაში არსებულ ხარვეზებს და გავლენას ვერ მოახდენდა წარმოების შედეგებზე და მისაღები გადაწყვეტილების შინაარსზე“.[21] სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუშვებელია, პირის მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურული უფლებებით სარგებლობა, თითოეულ შემთხვევაში, დამოკიდებული იყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მსგავსი შესაძლებლობის გამოყენების ეფექტიანობის თვითნებურ და წინასწარ შეფასებაზე. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას დაინტერესებული მხარის წარმოებაში ჩართვის შესახებ. მით უმეტეს, რომ გაუგებარია, რატომ არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული პარტიისთვის ახალი, სათანადო წესით დამტკიცებული წესდების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა, რაც აღმოფხვრიდა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებულ ხარვეზს და გამორიცხავდა გაერთიანების თავისუფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას.

ზემოაღნიშნული არგუმენტების გარდა, ამ საქმეში საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს,[22] რომელიც მოქალაქეებს პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს.

ცხადია, აქტის გამომცემი ორგანო, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაამოწმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი[23] და გააუქმოს იგი კანონიერების აღდგენის მიზნით.[24] ამ შემთხვევაში, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოც განმარტავს, მმართველობის ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება და

ამისთვის, აღმჭურველი გადაწყვეტილების გაუქმება თავის თავში მოიაზრებს კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპების შეპირისპირებას და შედეგად, თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღებას.^[25] იმავეს მონიშნავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, კარგი მმართველობა არ ართმევს შესაძლებლობას ადმინისტრაციულ ორგანოებს, ცალკეულ შემთხვევებში, გამოასწორონ საკუთარი შეცდომები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც მათი გაუფრთხილებლობის შედეგია.^[26] თუმცა, აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს პირის უფლებებში მომეტებული ჩარევისა და უწყების მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორების ტვირთის ასეთ პირებზე გადატანის ხარჯზე.^[27]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისთვის დადგენილი წესით.^[28] აქტის გამოცემამდე, კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, ჩაატაროს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება, გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.^[29]

მოცემულ შემთხვევაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებული იყო, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“-ს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ 2024 წლის 8 აპრილის № P24000027/0-1 გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სრულყოფილად გამოეკვლია 2021 წლის 7 დეკემბერის № P21000039/0-1 გადაწყვეტილების ბათილობის გამომრიცხავი გარემოებები, მათ შორის, შეეფასებინა სადავო აქტის მიმართ დაცვის ღირსი კანონიერი ნდობის არსებობის ფაქტი. უწყება უნდა დაინტერესებულიყო, განახორციელა თუ არა პარტიამ იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები მისი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე და მიადგებოდა თუ არა მას ზიანი რეგისტრაციის გაუქმებით.^[30] განსაკუთრებით საარჩევნო წელს. აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კანონსაინააღმდეგო აქტის გაუქმების ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს შექმნიდა სადავო აქტის მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების არსებითი დარღვევა.^[31] ამგვარ მოცემულობაშიც კი, მმართველობის კანონიერების პრინციპისა და დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის სამართლიანი ბალანსის დაცვისთვის, უნდა მომხდარიყო აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით შესაძლებლობისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება.^[32]

საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტაციისა და ახსნა-განმარტების შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, პარტიის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არ გამოუკვლევია და მხედველობაში არ მიუღია სადავო აქტის მიმართ კანონიერი ნდობის არსებობა და არ შეუფასებია, რამდენად გადაწონდა მას კანონიერი მმართველობითი საქმიანობის პრინციპი. ამდენად, მარეგისტრირებელმა ორგანომ მის მიერ „კონსერვატიული პარტია/ალტ-ინფო“-ს პირველადი რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის გამოსწორების ტვირთი მთლიანად პარტიას დააკისრა, მაშინ, როდესაც გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის განმაპირობებელი შემხვედრი ინტერესი სახეზე არ იყო. ასეთი მიდგომა, სახალხო დამცველის შეფასებით, ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ კარგი მმართველობის პრინციპებს.^[33]

3. დასკვნა

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, ამავე რეკომენდაციაში გამოკვეთილი ხარვეზებისა და მასში განხილული სტანდარტების მხედველობაში მიღებით, ჩაატაროთ ადმინისტრაციული წარმოება 2024 წლის 8 აპრილის № P24000027/0-1 გადაწყვეტილების კანონიერების შესაფასებლად და საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო შესწავლის საფუძველზე, გამოსცეთ ახალი, დასაბუთებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 8 მაისის №100131 წერილი.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის № 2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თმარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

[3] იქვე; ვუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 2015, პარ. 8.

[4] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 2015, პარ. 9.

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *United Communist Party Of Turkey and Others v. Turkey*, პარ. 25 და პარ. 43; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), სახელმძღვანელო პოლიტიკურ პარტიათა რეგულირების შესახებ, 2011, პარ. 10.

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Vona v. Hungary*, პარ. 52.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *United Communist Party Of Turkey and Others v. Turkey*, პარ. 47.

[8] იქვე.

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Vona v. Hungary*, პარ. 52.

[10] იქვე.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, პარ. 78; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Party for a Democratic Society (DTP) and Others v. Turkey*, პარ. 101.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №2/15/1403 გადაწყვეტილება საქმეზე „სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 4.

[13] იქვე, II, 5.

[14] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ინფორმაცია კარგი მმართველობის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3YhQwVA> [01.08.2024]; მინისტრთა კომიტეტის 2023 წლის 6 სექტემბრის CM/Rec(2023)5 რეკომენდაცია კარგი დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3SjzKBz> [01.08.2024].

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Moskal v. Poland*, პარ. 51.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Rysovskyy v. Ukraine*, პარ. 70.

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის №ბს-381(4კ-20) განჩინება.

[18] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 95, ნაწილი 2.

[19] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 99.

[20] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 98.

[21] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 8 მაისის №100131 წერილი.

[22] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმწერველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს იმგვარ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც დაინტერესებულ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის №ბს-298-295(კ-14) განჩინება.

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის №ბს-930-922(2კ-16) განჩინება.

[25] იქვე.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Rysovskyy v. Ukraine*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Moskal v. Poland*, პარ. 73.

[27] იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Rysovskyy v. Ukraine*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Beinarovič and Others v. Lithuania*, პარ. 140; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Čakarevič v. Croatia*, პარ. 77-91.

[28] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60¹, ნაწილი 8.

[29] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96 და მუხლი 53.


[30] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60¹, ნაწილი 5.

[31] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60¹, ნაწილი 4.

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის №ბს-930-922(2კ-16) განჩინება.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Lelas v. Croatia*, პარ. 74.

საქართველოს სახალხო დამცველი



ლევან იოსელიანი